# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 52 შაბათი, 7 მარტი 1909 წ. № 52

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



5 მარტს ქუთაისში გარდაიცვალა დეკანოზი

## სპირიდონ ნიკოლოზის ძე ფანცხავა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი მაკრინე ოტიას ასული იოსელიანისა, შვილები—რომანოზ, ესტატე და იაკობი. გარდაცვალებულის ცხედარს კვირას, 12 საათზე, გაასვენებენ პეტრე-პავლეს ეკკლესიიდან სოფელ ხომლში. (2—კვ.—1)

**ვლადიმერი, ალექსანდრე, ივანე ილიას ძენი ჩხეიძენი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას მამის

## ილია სიმონის ძის ჩხეიძისას.

დაკრძალვა 8 მარტს. (1—გაჩ.—1)

**დარია ალექსანდრეს ასული და ლევან ლევანის ძე ჩერქეზიშვილები** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ამხანაგთ, რომ ხუთშაბათს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელ შვილის

## მიშა ლევანის ძის ჩერქეზიშვილის

სულის მოსახსენებლ. დ. დასაწყისი პანაშვიდისა 12 საათზე. (2—125—1)

**წარმოდგენა № 4.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 4.**

**დილით დაკლებულის ფასებით**

კვირას, 8 მარტს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ცნობილი პიესა იუშკევიჩისა.**

## ●● მ ე ფ ე ●●

დრ. 4 მოქმედებად თარ. ალ. იმედაშვილის-მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, კ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, ვ. აბაშიძე, ნ. გვარამძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამძელი, გ. იმნაძელი, ი. ქივიძე, შ. საღარონვი, ვ. შალიკაშვილი.

**ადგილების ფასი დაკლებულია. ✦ დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად „ალლუმი“, «ოტელლო», „ორი ჯიბგირი“, „ჩერჩეტი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

გაზეთი **„ჩვენი საქმე“**

ასოთ-ამწყობებთან შეუთანხმებლობის

გამო, **დაიხურა.**

რედაქცია ამით აუწყებს თავის ხელის-მომწერთ, რომ ყოველ ზომებს იხმარს მათ დასაკმაყოფილებლად.

(6—6) **„ჩვენი საქმის“ რედაქცია.**

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში** შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—73)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—73)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ხუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი,** მიხეილის ქ., ს. ჭავჭანიძისა. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი. სპეციალური ექიმობა: ნაწლავებისა და კუჭის ავადმყოფობანი. დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. (25—ხალ.—26)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 111)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსხეს ქუჩა, N 11. (75—2ც)

**ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელ... ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—112)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**ზ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11 1/2—12 1/2 ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—6)

**ქართული თეატრი**

შაბათს, 7 მარტს, 1909 წ.

## გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად

**მეორე საჯარო ლექციას:**

## „ჰენრიკო იბსენი“

შინაარსი. ლექციისა: შესავალი.—იბსენი და თანამედროვე სულიერი კულტურა.—მთავარი მოტივი იბსენის პოეზიისა: პრობლემა პიროვნებისა.—აღსაზვა ამ პრობლემისა სქესისა და სიყვარულის სფერაში.—იბსენის აზრი პიროვნების შესახებ: ადამიანი ეძებს თავის შინაგან „მე“-ს და აქედან სდგება მისი ცვალება.—იბსენის აზრი სიყვარულის შესახებ: ადამიანი ნახულობს შინაგან „მე“-ს მხოლოდ სიყვარულში და აქედან სრულდება მისი იდეალური გარდაქმნა.—სულიერი მეშჩანობა და იდეალური სახე ადამიანისა—ტრაგედია კაცობრიობისა. ხსნა ამ ტრაგედიისაგან.—იბსენის სიმბოლიზმი და მისტიციზმი—პოემა „პერ გინტი“, როგორც მთავარი მომენტი იბსენის შემოქმედებაში.

**ადგილების ფასები დაკლებულია**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** (2—2)

## ყოფილი

**მაშინისტი ელექტრონის**

## სადგურისა

ეძებს შესაფერ ადგილს, იცის მოხმარება ყოველ გვარ კონსტრუქციის მოტორისა. იცის სასლესრო საქმე. ელექტრონის ზარების შეკეთება და ახლების მოწყობა. ელექტრონის სინათლის გაყვანა. ყოველგვარი საქმე ელექტრონისა. იკითხეთ „დროების რედაქცია“ ში. (5—3)

## შპალიერი

## ძმ. ტარნოპოლების

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—6—1)


## მოწოდება

**(ქართველ საზოგადოებისადმი ეგნატე ნინოშვილის საფლავზე ძეგლის აგების შესახებ).**

15 მაისს 1909 წ. შესრულდება 15 წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენმა ღარიბმა ლიტერატურამ დაკარგა ერთი უნიჭიერესი მწერალთაგანი. ჯერ ისევ ახალგაზრდა ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა).

მიუხედავად ხან-მოკლე მოღვაწეობისა განსვენებულმა უკვე დაიდგა ჩვენს გულში ხელთ-უქმნელი ძეგლი, რომელსაც დაიმსახურებენ ხოლმე მარტო დიდბუნებოვანი მოამაგენი ქვეყნისა. იგი უკვე ჩაეწერა იმ მცირე რიცხოვან რაზმში, რომელიც წარმოადგენს დიდებას და სიამაყეს ჩვენის ხალხისა. ამის გამო პატივისცემა მისი ხსოვნისა, შეადგენს ჩვენთვის აუცილებელ მოვალეობას.

ამ ბოლო დროს ქართველ საზოგადოებაში დაიბადა სურვილი ხსენებულ მოვალეობის შესრულებისა, აქა-იქ კიდეც იკრიბება შემოწირულებანი საყვარელ მწერლის ძეგლისათვის. ჟურნალ «ჯეჯილი»-ს რედაქციის თხოვნით ანასტასია მიხეილის ასულმა წერეთლისამ უკვე გამოიტანა ნებართვა ადმინისტრაციისაგან ფულის მოსაკრეფად ხელის-მოწერის გამართვით და 7 ამა თებერვალს შეადგინა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც უნდა აწარმოვოს ეს საქმე თავისი თავმჯდომარეობით.

კომიტეტის წევრნი არიან: არსენ მამულაიშვილი, ვარლამ ჭიჭინაძე, მიხეილ ჩოდრიშვილი, ნიკო ჭიჭინაძე, პეტრე გელეიშვილი, სამსონ ფირცხალავა და სტეფანე ჭრელაშვილი.

კომიტეტი, აცნობებს რა ზემოხსენებულს საზოგადოებას, სრულიად დარწმუნებულია, რომ ყოველი შეგნებული ქართველი აღმოუჩენს მას სათანადო დახმარებას, როგორც საკუთარის წვლილის შემოტანით აგრეთვე ნაცნობთა გამხნევებით ისეთი წმინდა მოვალეობის შესასრულებლად, როგორიც არის პატივისცემა დამსახურებულ მოღვაწისა ჩვენს მწერლობაში, დაუვიწყარის ეგნატე ნინოშვილისა.

შემოწირულება მიიღება „ჯეჯილი»-ს რედაქციაში (არტილერიის ქუჩა N 5), და აგრეთვე კომიტეტის თითოეულ წევრთან პროვინციებში. ფულის მოკრეფა მიენდობა საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელთა სია ცალკე იქნება გამოცხადებული გაზეთების საშუალებით.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტს დილის სხდომაზე სახელმწიფო სათათბირომ განიხილა მრავალი წვრილმანი კანონ-პროექტი. ორიოდეს გარდა, თითქმის ყველა კანონ-პროექტი მიიღო. სხვა მემარჯვენეთა მიბაძვით ცნობილმა ტიმოშკინმაც ისახელა თავი უზრდელობით. სხვათა შორის სათათბიროში შეიტანეს კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ კოლეჟსკი ასესორს ანდრეევს ხაზინიდან ფული მიეცეს დრო-გამოშებით რუსეთსა და საზღვარ-გარედ კონცერტების გასამართავად“. ამ ანდრეევს ბალალაიკის დამკვრელთა გუნდი ჰყავს და ეი ამ გუნდისთვის თხოულობდნენ ხალხის ფულსა ხაზინიდან. ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს ტიმოშკინმა სთქვა სიტყვა და ასე დაიწყო—იცით თქვენ რა არის ბალალაიკა? დარბაზში სიცილი და ხმაურობა ასტყდა. ტიმოშკინი გაჯავრდა და წამოიძახა: რას ღრიალებთ, ულაყი ცხენები ხომ არა ხართ“-ო. თავმჯდომარემ სიტყვის თქმა აუკრძალა.

ამავე დღეს საღამოს სხდომაზე განიხილეს შეკითხვა, რომელიც შეეხება კერძო რკინის გზების ობლიგაციების უზრუნველყოფას მთავრობის მხრივ. როგორც ვიცით, მთავრობამ მოხსენება ამის შესახებ საბჭოს მეორე დეპარტამენტში შეიტანა და არა სათათბიროში.

ოქტომბრისტებმაც კი უსაყვედურეს მთავრობას და სთქვეს, იმედია შემდეგში აღარ გაიმეორებს მთავრობა ასეთს უკანონობასაო. სიტყვები წარმოსთქვეს სხვა ორატორებმაც. დიდხანს ილაპარაკეს ფინანსთა და გზათა მინისტრებმა. კამათი არ დასრულებულა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ლ. ტოლსტოი და პ. სტოლიპინი.**

შარშან დეკემბერში ა. სტოლიპინმა გაზეთ „ნოვოე ვრემ.“-ში წერილი დასტამბა. ამ წერილში იგი სიკვდილით დასჯას შეეხო და, სხვათა შორის, ამტკიცებდა, რომ ქრისტე სიკვდილით დასჯის მომხრე იყოო. პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთმა სტუდენტმა ეს წერილი ლევ ტოლსტოის გაუგზავნა და სთხოვა, რამე ეპასუხნა ა. სტოლიპინისთვის. ლ. ტოლსტოიმ სტოლიპინის საპასუხოდ გაზეთ „ფრანკფ. ცაიტ.“-ში დასტამბა წერილი ამ სათაურით: „ქრისტიანობა და სიკვდილით დასჯა“. ტოლსტოი სწერს:

ყველაფერი ეს სიზმარში კი არა, ცხადად მოხდა. ერთ დიდ გავრცელებულ კონსერვატიულ გაზეთში, რომელიც ვითომ ქრისტიანობის გავრცელებას ისახავს მიზნად, მეურაცხყოფას აყენებენ ეკლესიას, დასცინიან ქრისტეს სჯულს, უარსჰყოფენ მას. სტუდენტს, რომელმაც ა. სტოლიპინის წერილი გამომიგზავნა, შემდეგი წერილი მივსწერე: „სიკვდილით დასჯის გამართლება ქრისტეს მოძღვრებით არც ერთ გათანსწორებულ კაცს არ უცდია. ასეთ გამართლებას უსინიდისობისა და სისულელის ნარჩენი უდევს. ლ. ტოლსტოი“.

ტოლსტოი მარტო საზოგადოებრივ კონსერვატიულ ნაწილს არა ჰკიცხავს, იგი ყალბ ქრისტიანთა ურთი-ერთობასაც ეხება, განსაკუთრებით კი, ეგრედ წოდებულ, განათლებულ კლასის შეხედულებას სიკვდილით დასჯაზე.

ეს ურთიერთობა ნამეტანის სინათლით გამოიხატა ბ-ნ ა. სტოლიპინის წერილში. მართალია, ეს წერილი უშინაარსოა, სულელურია, მაგრამ იქ გარკვევით არის მეურაცხყოფილი ის, რაც წმიდათა-წმიდად ითვლებოდა და ითვლება ყველასათვის, ვისაც ნამდვილად ესმის ქრისტიანობა. ამ წერილში ნათქვამია, რომ ქრისტე მარტო საჭიროდ კი არა სთვლიდა სიკვდილით დასჯას, არამედ ჰკიცხავდა იმათ, ვინც სიკვდილით დასჯას უარჰყოფდნენ. ეს ქრისტემა სთქვა, იმ ქრისტემ, რომელიც თვით სიყვარული იყო, რომელიც სიყვარულის ღმერთის სახიერება იყო! და ეს წერილი დაიბეჭდა გავრცელებულ გაზეთში, ხოლო ის ყალბი-ქრისტიანები, რომელნიც ქრისტეს მოძღვრების ხშირად იმ ადგილებს აფასებენ, სადაც ლაპარაკია იმაზე თუ როგორ ამათრახებდა ქრისტე ვაჭრებს ტაძარში, არა თუ არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ამ ეკლესიის მეურაცხყოფას არავითარ ყურადღებასაც არ აქცევენ... და წერილს, სადაც ქრისტეს მოძღვრებით ამართლებენ სიკვდილით დასჯას, არავინ ყურადღებას არ აქცევს. თითქოს მთავრობა და ლიბერალებიც ეთანხმებიან ამ წერილს. ეს ხომ სამინელებაა!

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი

### ბალკანეთი.

**ვენა.** დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ის ხმა, ვითომ ავსტრიას შვიდი კორპუსის სათადარიგო ჯარი მიეწვიოს. ხმა დადის ომის შესახებაც. მთელი დღე რაღაც განსაკუთრებულს მოელოდნენ. საღამოთი ცოტა დამშვიდნენ. ქრისტიან-სოციალისტების საპარლამენტო წრეების აზრით, ომი მოხდება. ავსტრიელი სლავიანები უფრო ოპტიმისტიურად უყურებენ საქმეს. რუსეთის იმ პასუხმა, რომელიც ავსტრია-ოსმალეთის შეთანხმებას შეეხება, ბირჟაზე ძალიან იმოქმედა. ამ პასუხმა შეაშფოთა ბირჟები, თუმცა საღამოს გაზეთები საშიშად არა სცნობენ საქმეს. „ცეიტი“-ს აზრით, რუსეთისა და ინგლისის წინადადება კონფერენციის მოწვევის შესახებ შეიძლება საფუძვლად დაიდოს მოლაპარაკების განსაგრძობად. „ნეიე-ფრეიე-პრესსი“ ამბობს, რომ რუსეთის წინადადება არ შეეფერება ავსტრიის სურვილსაო. გაზეთს იმედი აქვს, რომ სახელმწიფონი მორიგდებიან კონფერენციის პროგრამის შესახებ.

„კორესპონდენტ-ბიურო“-ს სალონიკიდან დეპეშით ატყობინებენ; ოსმალეთის მთავრობის უკანასკნელ განკარგულებით, ოსმალეთის ტერიტორიაზე აღარ გაუშვებენ სერბიის სამხედრო მასალას. ვიდრე არ გადასწყდება კონფლიქტი ავსტრო-ჰუნგრეთთან, სერბიას აღარ მისცემენ იმ სამხედრო მასალას, რომელიც სვიტინლიკის საწყობებში.

ოსმალეთის სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, შეუდგნენ მზადებას კოსსოვსკის ვილაეტის სათადარიგო ჯარის მოსაწვევად.

**ბუდაპეშტი.** „კორესპონდენტ-ბიუროს“ სწერს: ტყუილია ის ხმები, ვითომ მობილიზაცია იყოს ჯარის ახალ კორპუსებისა. გაიცა მხოლოდ ბრძანება, რომ შეევსოთ. ბოსნია-ჰერცოგოვინაში მობინავე ჯარი.

**ვენა.** „კორესპ. ბიურო“-ს სტამბოლიდან ატყობინებენ: ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა სერბიისთვის გასაგზავნი საქონელი ყოველთვის გასინჯოს ხოლმე. სერბიას უფლება აქვს მარტო სალდათების ტანისამოსი გადაიტანოს ხოლმე ოსმალეთით და არა იარაღი და სამხედრო მასალა. საფრანგეთსა და ინგლისის სამთო საზოგადოებებს ერთ-დროულად მხოლოდ 2 ნახევ. ტონი დინამიტი შეუძლიანთ გადაიტანონ.

რეიხსტაგმა კანონ-პროექტი ახალ ჯარის კაცთა შესახებ გადასცა სახელმწიფოს დაცვის კომისიას. ყველა ორატორმა იმედი გამოსთქვა ავსტრო-ჰუნგრეთი ისეთ საშუალებას გამოსძებნის, რომ ბალკანეთის კრიზისი მშვიდობიანად დამთავრდებაო.

**პარიზი.** 4 მარტს საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს პიშონს რუსეთის ელჩთან მოლაპარაკება ჰქონდა ბალკანეთის შესახებ.

**ბელგრადი.** 3 და 4 მარტს რუსეთის ელჩს მოლაპარაკება ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრთან. ელჩმა მილოვანოვიჩს გადასცა რუსეთის მთავრობის რჩევა, რომ სერბია ზომიერად მოიქცეს. ტყუილია ის ხმები, ვითომ რუსეთიდან სერბიაში უკვე ჩასულიყვნენ თავისუფალი მებრძოლნი.

**ვენა.** „ფრემდენბლატ“-ში დაბეჭდილია: ავსტრო-ჰუნგრეთი პრინციპიალურის მოსაზრებით არის წინააღმდეგი კონფერენციის მოწვევისა. ავსტრია პოლიტიკურის მოსაზრებით საჭიროდ სცნობს, რომ ბერლინის ტრაქტატი სახელმწიფოთაგან ხელუხლებელი იყოს. გაზეთის აზრით, კონფერენციის პროგრამის ყოველ მუხლის შესახებ შემუშავებული უნდა იქმნას ფორმულა, რომელზედაც წინასწარ მოლაპარაკების დროს სახელმწიფონი უნდა შეთანხმდნენ. რაკი ყველა სახელმწიფომ მოიწონა ავსტრია-ოსმალეთის შეთანხმება, ძნელი არ არის გარკვეული ფორმულა ვიქონიოთ ბოსნიის საკითხის შესახებაც. ეს ფორმულა სრულიად უნდა ეთანხმებოდეს შეთანხმების ოქმებს და ამასთან ყველას აკმაყოფილებდეს. იბადება საკითხი, განა უფრო ხელსაყრელი არ არის, რომ კონფერენციის მაგიერ ფორმულა სახელმწიფოებმა დაადასტურონ ვენის მთავრობისადმი მიმართულ ნოტების საშუალებით. შეუძლებელია თვითონ კონფერენციის ადრე მოწვევაცაო. შემდეგ გაზეთი ეხება იტალიის წინადადებას. იტალიის აზრით, კონფერენციის პროგრამაში რაც შეიძლება ცოტა მუხლი უნდა იქნას შეტანილი. ამავე აზრს თანაუგრძნობენ ინგლისში.

**ვენა.** გაზეთები, უმთავრესად საღამოსი, მდგომარეობის უფრო მშვიდობიანურად სცნობენ, ვიდრე წინად იყო. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ევროპის დიპლომატია თავგამოდებით ილწვის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფელადაო. „ნეი-ფრეი-პრესე“ ემყარება თავის კორესპონდენტებისა და გერმანიის გაზეთების ცნობებზე და ამბობს, რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი სერბიას წინადადებას წარუდგენენ, იტალიაც სცდილობს კონფერენციაზე ისეთი პროგრამა წამოაყენოს, რომ ორივე მხარისათვის მისაღები იყოს. ამ ცნობების მიხედვით, გაზეთი მდგომარეობას უკეთესადა სცნობს.

ვეკერლემ პარლამენტში კერძო ლაპარაკის დროს სთქვა, იმპერატორი დარწმუნებულია, რომ ომი თავიდან იქნება აცილებულიო. ბირჟა ცოტათი წელში გაიმართა გუშინდელ არა სასიამოვნო ცნობების შემდეგ.

**მიუნხენი.** „მიუნხენერ-ნესტენახრიხტენ“ სწერს: მიუნხენში მცხოვრებმა სერბებმა ბრძანება მიიღეს სამშობლოში დაბრუნდნენ. ბრძანება შეეხება ჯარში გაწვევას.

**კელნი.** „კელნიშე-ცაიტუნგის“ დეპეშით ატყობინებენ: იმედია მდგომარეობა გაუმჯობესდება, რადგან სერბიის მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, შესაძლებელია სამხედრო სამზადისის შეჩერებაო. გაზეთი დასძენს, სერბია დათმობის გზას ადგებაო.

**პარიზი.** გაზეთი „ტან“-ი ამბობს: რუსეთმა უნდა განაცხადოს, რომ სერბიის ნოტაში არ არის მოხსენებული ტერიტორიალური და პოლიტიკური მოთხოვნებიო. სახელმწიფოებმა თავიანთ მხრივ უნდა განაცხადონ, რომ ამ პირობათა მიხედვით უნდა ვალვიაროთ, რომ სერბია წი-

ნაცლმდეგობას არ აცხადებს ავსტრია-ოსმალეთის შეთანხმების შესახებ. ეს განცხადებანი ერთსა და იმავე დროს უნდა ეცნობოს ავსტრიისა და სერბიისათ.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ბელგრადიდან ატყობინებენ: ხმა დადის, რომ სერბიის მთავრობას აზრადა აქვს დაემორჩილოს სახელმწიფოების წინადადებასათ. სერბია მზად არის ომის სამზადისზე ხელი აიღოს, თუ სახელმწიფოები ამის შესახებ ეტყვიან რასმეს.

**სტამბოლი.** თუმცა სერბიისა და ჩერნოგორიის ელჩებმა დამამშვიდებელი განცხადება წარადგინეს, მაგრამ ოსმალეთის საზოგადოება, გერმანიისა და ავსტრიის გავლენით, იმ აზრისაა, რომ სერბებს სურთ ნოვობაზარის სანჯაყი დაიჭირონ. ამიტომ ოსმალეთის გაზეთები ამართლებენ მთავრობის განკარგულებას იარაღის შეტანის აკრძალვაზე.

**ბერლინი.** „რეინიშ-ვესტვალიშე-ცაიტუნგი" უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ გერმანია ასე აშკარად ეხმარება ავსტრიასათ. იგი ურჩევს გერმანიას ისე მოიქცეს როგორც მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს. ავსტრია ისეთი ნამდვილი მოკავშირე არ არის გერმანიისა, როგორც გერმანია ავსტრიისა, კაზაბლანკის იციდენტის დროს ავსტრია არ მოქმედებდა ისე როგორც საჭირო იყოს. ბოსნიის შემოერთებით ავსტრია უფრო სლავიანთა სახელმწიფოდ იქცაო. თუ მართლა დიდი და მსოფლიო ომია მოსალოდნელი განა უფრო სასარგებლო არ იქნება გერმანიამ ეს ომი მარტო აწარმოოს და არა ავსტრიასთან დაკავშირებითაო.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. მინისტრმა გრეიმ შეკითხვაზე განაცხადა, რომ დანამდვილებითი საბუთები არ არის, ვითომ რუსეთს თეირანში ჯარი გაეგზავნოსო. შემდეგ გრეიმ სთქვა, ინგლისის ელჩისაგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია, რომ საჭირო იყო ინგლისის მისიის დამცველ რაზმის გაძლიერებაო.

**თეირანი.** დღეს შაჰს უცაბედად რევოლვერი გაუვარდა. შაჰი ხელშია დაჭრილი. ჭრილობა მსუბუქია.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ფოსტის გაფიცულ მოხელთა მაგიერ სალდათები ამუშავოს. მინისტრთა საბჭოს განზრახვა აქვს, საზოგადო მუშაობის მინისტრს უფლება მისცეს, დაითხოვოს გაფიცული მოხელენი.

საფოსტო უწყება აცხადებს: ფოსტაში მუშაობა ნორმალურად სწარმოებს, თუმცა რამდენიმე ასი მოხელეა გაფიცულიო. კლემანსომ პარიზელ დეპუტატთა წარმომადგენლებს გადასცა, რომ ფოსტის მოხელეების გაფიცვა უსაბუთოა; პარასკევს საქმის ვითარებას გავაცნობთ დეპუტატთა პალატას და მცხოვრებთაო. კლემანსომ ამით დააბოლოვა: „მოხელეებს ბრძოლა ჰსურთ, კეთილი, ჩვენ ვიღებთ ამას. ეჭვს გარეშეა, რომ უკანასკნელი სიტყვა მთავრობისაა".

**პარიზი.** ჰავრისა და ლილის ფოსტის მოხელეებმა დაადგინეს, მიემხრონ პარიზის ფოსტის მოხელეებს. ბრესტის და ლიონის მოხელეებმა გადასწყვიტეს, გაფიცვა გამოაცხადონ.

**ბუდაპეშტი.** არჩევს რა კონფერენციის პროექტებს, „პესტერ-ლოიდ"-ი ამბობს, რუსეთის და ინგლისის ნოტები დაბლა დგას იტალიის ნოტაზე, რადგან ტიტონის წინადადება კონფერენციის შესახებ მკაფიოდ არის გამოთქმული, რაც თავის თავად უზრუნველჰყოფს მის სრულს გამარჯვებას.

„პესტი ჰირლაპ"-ი ამბობს: თუ ომს ვერ აიცილებენ თავიდან ავსტრიას, ეს იქნება მთელის ევროპის დიპლომატიის დამარცხება. იმედია, რომ ევროპის დიპლომატია ბეჯით რჩევას მისცემს სერბიას. თუ იგი ამას არა იქმს, მაშინ ჩვენ სრული უფლება გვექნება მოვითხოვოთ, რომ დიპლომატია ჩვენს საქმეშიაც აღარ გაერიოს, მაშინ ჩვენ გავანადგურებთ ჩვენს მტერს.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** სათათბიროს სახალხო განათლების კომისიამ მიიღო კანონპროექტი სახალხო განათლების საჭიროებისათვის 250,000 მანეთის დამატებით გადადების შესახებ. ამას გარდა სახალხო ბიბლიოთეკებისა, სამკითხველოებისა, სასკოლო მუზეუმებისა და მოზრდილთა განათლებისათვის გადადებულ თანხას უნდა მიემატოს 500,000 მან.

სინოდმა დადგინა, შეადგინოს კომისია აკადემიის ახალ წესდების შესამუშავებლად.

კავკასიის სამკურნალო წყლებს (ჩრდილოეთ კავკასიაში) ეკუთვნის 1000 დესეტინამდე. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, იჯარით გაიცეს ადგილი. ადგილი ნაჭრებად უნდა დაიყოს და 24 წლის ვადით გაიცეს.

საგანგებო კომისიამ, რომლის თავმჯდომარედაც დიდი მთავარი სერგი მიხეილის ძეა, შეიმუშავა კანონპროექტი ნადირობის შესახებ. პროექტი დაახლოვებით შეიცავს შემდეგს: იგი ეხება ყოველნაირ ნადირობას. ვისაც მოწმობა არ ექნება, ნადირობის უფლება არ მიეცემა. მოწმობა ეღირება ხუთი მანეთიდან ორმოც მანეთამდე. ზოგიერთ იშვიათ ნადირზე ნადირობა სრულებით აკრძალული იქნება. კანონპროექტში დრო იქნება ნაჩვენები, თუ როდის შეიძლება ნადირობა. გუბერნიებსა და ოლქებში დაარსდება კომიტეტები ნადირობის შესახებ. მაზრაში ან რამდენიმე მაზრაში მეთვალყურე იქნება. ნადირობის განსავითარებლად გუბერნატორების და ოლქების უფროსების ნებადართვით დაარსდება მონადირეთა საზოგადოებანი. ასეთ საზოგადოებათა დაარსება აკრძალული იქნება კავკასიასა და პოლონეთში. ამ ადგილებში საზოგადოებათა დაარსება შეიძლება მხოლოდ უმაღლესის ნებართვით. კომისიამ შეიმუშავა პროექტი ამ საზოგადოებისა.

**პეტერბურგი.** მემარჯვენეთა ფრაქციამ გამოაქვეყნა თავისი დადგენილება დეპუტატ მარკოვისა და სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვის შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ რადგან ხომიაკოვმა ბოდიში მოიხადა მხოლოდ სიტყვების—„ასეთ დეპუტატი"-ს წარმოთქმის გამო, ამიტომ ფრაქცია ხომიაკოვის ბოდიშს საკმაოდ არ ჩასთვლიდა, მაგრამ სცნა რა, რომ ამას იქით ხომიაკოვი უფრო ფრთხილად და ყურადღებით დაიცავს უმაღლეს თვითმპყრობელ ხელმწიფების ხელუხლებლობას; რომ ხომიაკოვმა სიტყვის წარმოთქმის უფლება მისცა როდიჩევს მხოლოდ იმის გამო, რომ მას არა აქვს შეგნებული თავის მოვალეობის სიდიადე, მემარჯვენეთა ფრაქციამ დაადგინა, ეს საქმე გათავებულად ჩაითვალოს.

სათათბიროს წევრთა მოწოდების შესახებ, რომელიც უნდა გაეგზავნოს მთელის ქვეყნიერობის პარლამენტებს, მემარჯვენეთა ფრაქციამ დაადგინა, რომ ეს ღონისძიება არ შეეფერება სათათბიროს წევრთა მოვალეობას, ვნებას მოუტანს საერთაშორისო მშვიდობიანობას და არღვევს რუსეთის ინტერესებს. აწ არსებულ კანონებით სათათბიროს და მით უმეტეს მის თითოეულ წევრს, არა აქვთ უფლება გაერივნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. მოწოდება იმნაირადაა შედგენილი, რომ იგი უფრო გაამწვავებს საქმეს, რადგან ეს „მოწოდება ომის წინააღმდეგ" შეიცავს მუქარას. რუსეთის არსებითი ინტერესები მოითხოვენ, რომ მთელი მისი ძალა მოხმარდეს შინაგან განმაახლებელ მუშაობას. ეჭვს გარეშეა, რომ ეს მოწოდება შედგენილია იმ პოლიტიკურ პარტიების თაოსნობით, რომლებსაც რუსეთ-იაპონიის ომის დროს აჯანყების ბაირაღი ააფრიალეს შიგ რუსეთში. ამ მოსაზრებით მემარჯვენეთა ფრაქციამ დაადგინა სთხოვოს თავის წევრებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს მოწოდებას, უარი განაცხადონ ხელის მოწერაზე.

**რიგა.** საფრანგეთის კონსულის მოადგილე თავის სახლში მკვდარი ნახეს. იგი ტყვიით დაჭრილი აღმოჩნდა. ჰფიქრობენ, რომ კონსულის მოადგილემ თავი მოიკლა.

**არხანგელსკი.** პეჩორის მაზრაში გასაცარცვავად თავს დაეცნენ მომრიგებელ მოსამართლეს. მოსამართლე მძიმედ დასჭრეს.

**ოდესსა.** ამ დღეებში ლექციების კითხვა უნივერსიტეტში წესიერად სწარმოებდა. უნივერსიტეტში რექტორის განცხადებაა გამოკრული. განცხადებაში ნათქვამია, რომ მარტო ის სტუდენტები მიიღებენ შემწეობას და განთავისუფლდებიან სწავლის ფულისაგან, რომელნიც წესიერად ესწრებიან ლექციებსაო.

**დონის-როსტოვი.** კავკავის რკინის გზაზე წყალ-დიდობამ ბევრ ადგილას მატარებლების მიმოსვლა შეაჩერა. საქონლის თავის დროზე მიტანას რკინის გზა აღარა კისრულობს.

**იაროსლავლი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით არავინ გამხდარა ავად.

**ვარშავა.** პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის 40 სტუდენტი თითო თვით დაპატიმრეს. მიზეზი—სავალდებულო დადგენილების დარღვევაა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით გახდა 4, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ხერსონი.** ღამე ოთხი ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა შპაიდეროვის ეკონომიას. დასჭრეს მოსამსახურენი, გაიტაცეს 15,000 მანეთი, თოფი, რევოლვერი და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა ვლადიმირის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის სტუდენტს ფრუმკეს და გლეხს გუსევს სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

**„დროების" ხვალინდელ „სურათებიან დამატების" შინაარსი: „ეპისტოლე". ლექსი ტარას შევჩენკოსი, თარგ. შანშიაშვილისა; „სახიფათო სიყვარული", მოთხრობა (შემდეგი) ვ. ბარნოვისა; „უკრაინელთა პოეტი ტარას შევჩენკო". სურათები: ეკ. გაბაშვილი, ტარ. შევჩენკო, „თანამედროვე ქირურგია" და კარიკატურა.**

# მოწოდება

(ეს მოწოდება ტფილისის გაზეთებმა შეიმუშავეს)

ექსპროპრიაცია, ცარცვა-გლეჯა, მკვლელობა, შანტაჟი—აი საშინელი უბედურება ჩვენის დროისა!

ისე დღე არ გავა, რომ არ ვიხილოთ ან არ მოვისმინოთ ახალი ცარცვა-გლეჯა, მკვლელობა და ძალდატანება. ამ ბოროტებამ ამ ბოლო დროს სახალხო უბედურების ხასიათი მიიღო. ამისგან ერთნაირად შეწუხებულია საზოგადოების ყველა წოდება, შეწუხებულია შეძლებულიც და შეუძლებელიც. თუ მდიდრები სწირავენ ფულს და ხშირად საკუთარ სიცოცხლესაც ზედ აღებენ, მცხოვრებთა ღარიბი ნაწილი არა ნაკლებადაა შეწუხებული იმ რეპრესიებით, რომელიც თანდათან ძლიერდება ყოველ ბოროტ-მოქმედების ჩადენის შემდეგ. ეს რეპრესიები შეუძლებლადა ჰხდის რაოდენადმე მაინც მყუდრო კულტურულ ცხოვრებას.

ამ ბოლო დროს მომხდარ ამბებით დაშინებული და შეწუხებული საზოგადოებრივი აზრი დადუმებულია. მცხოვრებლებმა დაჰკარგეს თავის დაცვის უნარი. ქალაქის თვითმმართველობაც კი, რომლის მოვალეობაც არის მცხოვრებთა ინტერესების დაცვა, ამ მხრივ არაფერს აკეთებს, და არ იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ.

მაგრამ თუ მცხოვრებნი იძულებულნი არიან სდუმდნენ, თუ ქალაქის მოღვაწენი იმდენად ვერ ამაღლებულან, რამდენადაც მათი მოვალეობა მოითხოვს, პრესას [illegible] ვის მეტად მძიმე მომენტის დროს: ყოველ უბედურების ჟამს პრესა თავის მოვალეობის მწვერვალზე მდგარა და გამოუფხიზლებია ხალხი, წინამძღვრობა გაუწევია მისთვის. ეხლაც პრესსა ესევე უნდა მოიქცეს, ეხლაც უნდა იკისროს გამომფხიზლებელ ზარის დანიშნულება, მოუწოდოს მთვლემარე საზოგადოებრივ ძალებს, გააღვიძოს მოძინებული მოქალაქობრივი გრძნობანი და ამით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ბურუსის გაფანტვას.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა ებრძოლოს ამ სენს—პრესსამ უნდა აღიაროს, რომ შველა თვით-საზოგადოებაშია და არა იმის გარეშე. მკვლელებსა, მცარცვავ-მგლეჯელებსა და შანტაჟისტებთან ბრძოლაში **საჭიროა საზოგადოების თვით-მოქმედების განვითარება.** ამისი მაგალითები უკვე არის: ასე მოიქცა საქართველოს დასავლეთი ნაწილი გურია, და აგრეთვე განჯის და ერევნის გუბერნიების და ყარსის ოლქის ზოგიერთი მაზრა, სადაც მხოლოდ საზოგადოების თვითმოქმედებამ მოსპო თავის მავნე წევრთა ბოროტ-მოქმედებანი. იქ მცხოვრებთ ომი გამოუცხადეს შანტაჟისტებსა და ექსპროპრიატორებს და ეს უკანასკნელნიც იძულებულნი გახდნენ დაეთმოთ მცხოვრებთა ერთსულოვან სურვილისათვის. ჩვენში კი, სამწუხაროდ, არაფერი ამისთანა არ არის.

თუ ვინმე ექსპროპრიატორებს და შანტაჟისტებს სხვა თვალით უყურებს, როგორც ეს მემარჯვენე პრესსასა ჰგონია, ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ეს მხოლოდ აზრის უმწიფობისა და დაუფიქრებლობის ნაყოფია.

ჩვენ მოუწოდებთ ქალაქის თვითმართველობას, იკისროს ინიციატივა ზომების შესამუშავებლად იმ შანტაჟისტებისა, ექსპროპრიატორებისა და მკვლელების წინააღმდეგ რომელნიც საბრძოლველად, რომელნიც უბრალო ჯარის-კაცებსა და მშვიდობიან მცხოვრებთა ჰხოცავენ.

შეურიგებელი, დაუნდობელი ბრძოლა მკვლელებსა შანტაჟისტებსა და ექსპროპრიატორებთან!—ასეთი უნდა იყოს ლოზუნგი მცხოვრებლებისა.

# ფელეტონი

## მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ოსმალეთის პარლამენტი.—ევროპა.—ბალკანეთი.**

(შემდეგი *)

როდესაც მაკედონიის საკითხი წამოდგა პარლამენტის წინაშე, მაშინვე ზედ-მოჰყვა საკითხი ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციისა. სომეხთა დეპუტატმა ზორაბ-ეფენდიმ, რასაკვირველია, წინადადება შეიტანა დეცენტრალიზაციის შესახებ მუშაობისა და იმის შემოღებით ოსმალეთის დახლართულ საქმეთა გადაწყვეტისა, მაგრამ პარლამენტმა დიდის ხმის უმეტესობით უკუ-აგდო ეს წინადადება. ეჭვს გარეშე კი სწორედ ის არის, რომ დეცენტრალიზაციის გარდა ოსმალეთს არა უშველის-რა. ამბობენ, დეცენტრალიზაცია რომ მოვახდინოთ, ოსმალეთის იმპერია დაიშლებაო, მაგრამ ის სახელმწიფო, რომელსაც იმედი არა აქვს ერთა შორის განწყობილება ნება ყოფლობით შეთანხმებაზედ დაამყაროს, ძალდატანებით ყოფილა შეკოწიწებული, და რაც უნდა ძლიერი ცენტრალიზმი განახორციელოს, მაინც დაიშლება, თუ მისი შემადგენელი ელემენტები ერთმანეთს არ ეგუებიან. ნუ თუ ოსმალებს აღარ ახსოვთ ის საშინელი წინააღმდეგობა, რომელიც არაბებმა მათ გაუწიეს 1904 წელს, როდესაც ოცდა-ათი ბატალიონი თავზედ დაამტვრიეს ოსმალეთის გენერალს ფეიზი-ფაშას? დიახ, კიდევ ვიტყვით, არაბთა ავტონომია არა თუ აუცილებელი, სასარგებლოც არის ოსმალებისათვის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ არაბებს ხელს უწყობენ ინგლისელები, რომ ეგვიპტესა, წითელ-ზღვასა და ინდოეთში თავიანთ ბატონობა კიდევ უფრო განამტკიცონ. ამიტომაც იყო, რომ ინგლისმა ფლოტი მიაყენა ეგეის ზღვაში ოსმალეთს სანაის კუნძულისა და ტაბას პორტის შესახებ დავის დროს, 1906 წელს. ამიტომ იყო, რომ ინგლისი თვით არაბთა ეროვნულ კომიტეტის მოწყობასა და დიდ აჯანყებასაც ხელს უწყობდა.

ესე ყოველი არ უნდა დაივიწყონ ოსმალებმა და მაშინ ცოტა უფრო ფრთხილად ილაპარაკებენ ასსიმილიაციასა და ცენტრალიზმზე. მათა ჰგონიათ—ცენტრალიზმით აიცილებენ თავიდან ასეთს მოვლენებს. მაგრამ ცენტრალიზმის დაშლა არც ისე ძნელია, თუ ეს არაბებისთანა ერებმა მოინდომეს. მათი დაყვავება და მათთან საუკუნო მორიგება კი ძნელი საქმეა, მაგრამ ნაყოფიერი, უძლიერესი იარაღი ოსმალეთის მომავალ ძლიერებისა.

მართალია, ოსმალეთის პარლამენტმა დიდის ყურადღებით მოისმინა კიამილ-ფაშის მოხსენება 14 იანვრისა, მაგრამ ისიც მართალია, რომ რამდენსამე მუხლის გარდა ჯერ არაფერია განხორციელებული იმ პროგრამმისა, რომლის ასასრულებლადაც მუშაობდა კიამილ-ფაშა. რეორგანიზაცია პოლიციისა და ერთობა ადმინისტრაციისა, სკოლების გახსნა, მიწათ მოქმედების გაუმჯობესება, ამ მიზნით სპეციალურ სამეურნეო სასწავლებელთა დაარსება და საზღვარ-გარედ გაგზავნა ახალგაზდათა მეურნეობის სპეციალურად შესასწავლად, არმიის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრული ევროპიული რეორგანიზაცია, კონსტიტუციის რევიზია, სრული რეორგანიზაცია ყოვლად საძაგელ მდგომარეობაში მყოფ ფინანსებისა და საზღვარ-გარეთელთა დახმარება ფულითა და ცოდნით, ფლოტის უფრო გაჩენა, ვიდრე რეორგანიზაცია ევროპიელთა დახმარებით, ფოსტის რეორგანიზაცია და მოსპობა ევროპის ფოსტათა ოსმალეთში, ციხეების ევროპიულად მოწყობა, გზებისა და რკინის გზების გაყვანა და სხვა ათასი რამე,—აი რა იყო საგანი კიამილ-ფაშის შრომისა იმის მოკლე დიდ-ვეზირობის დროს, და ცოტაოდენი რამ კიდეც მოიყვანა სისრულეში. მაგალითად ჯარისა და ფინანსების საქმე ცოტად მოაწესრიგა, კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი შეიმუშავა და სხვა. მაგრამ მთელი პროგრამის სისრულეში მოყვანა მან ვერ შესძლო და შეუძლებელიც იყო ცოტა ხანში. კიამილ-ფაშა კი არა, მთელი ოსმალეთის ხალხი იძულებულია სამშობლოს ყველა საქმის ვითარების შეცვლაში მონაწილეობა მიიღოს, და ვინ იცის, როდის ეღირსება იგი ასეთ ბედნიერებას, რაიცა აგრეთვე დამოკიდებულია გარეშე პირობებზედ.

პარლამენტმა მოიწონა აგრეთვე კიამილ-ფაშის გარეშე პოლიტიკა, მისი მოლაპარაკებანი ავსტრიასთან, ბოლგარიასთან და სხვა სახელმწიფოებთან. მაგრამ შეატყეს თუ არა კიამილ-ფაშას, რომ მის მიერ მინისტრთა დათხოვაში რაღაც ანტიკონსტიტუციონალური მოქმედება, სია—შეიძლება სულთანის ხელიც ფათურობდა ამ საქმეში—იმავე წამს ჩამოაგდეს მისი სამინისტრო და გადიყვანეს დიდი-ვეზირის ხარისხზედ ჰუსეინ-ჰილმი ფაშა, რომელიც გაცილებით უფრო ლიბერალიც არის კიამილ-ფაშაზედ, უფრო ყმაწვილიც და უკეთესი სახელმწიფო კაციც. ამით ოსმალეთის პარლამენტმა მართლაც მოქალაქობრივი ვაჟ-კაცობა გამოიჩინა, მაგრამ ყოველივე ესე არ არის მაჩვენებელი იმის შემოქმედებით ნიჭისა. მინისტრების ჩამოგდება მაინც და მაინც დიდ რამეს არაფერს მოასწავებს განსაკუთრებით ისეთ დროს, როგორსაც განიცდის ეხლა ოსმალეთი: ფაქტიური მთავრობა ოსმალეთისა ეხლა „ერთობისა და პროგრესსის" კომიტეტია თავის ჯარით და არა სხვა ვინმე. ოსმალეთის პარლამენტის ნამდვილი საქმე, ჩვენის ფიქრით, ორი რამ არის: ერთი—ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა, მეორე—იმ ოთხ უბედურობის მოსპობა, რომელსაც ჰქვიან „სახრავი", როგორც ამბობს ფრანგის მწერალი ვიქტორ ბერარი (La Rèvolution Turque).

ეროვნულ საკითხზე უკვე მოვახსენე მკითხველს. უმეტესი ნაწილი დეპუტატებისა ცენტრალისტები არიან, მიმდევარნი ახმედ-რიზას პროგრამისა, რომელსაც ადგია მთელი პარტია „ერთობისა და პროგრესისა". საბაჰ-ედდინის პროგრამმას ჯერ-ჯერობით ცოტა მომხრე ჰყავს, მაგრამ როცა გაიგებენ, უსათუოდ ბევრი ეყოლება, რადგან ფედერალისტური პროგრამმაა საბაჰ-ედდინის პროგრამა, ფედერალიზმს კი უფრო ეტანებიან დაჩაგრული ერები, რომელთა რიცხვი მთელ ოსმალეთის ნახევარზედ გაცილებით მეტია თითქმის ორი-მესამედი ოსმალეთის ყველა მცხოვრებთა. საბაჰ-ედინი თვითონ ჩერქეზია ტომით და ამ ბოლო დროს ჩერქეზების კლუბის წევრადაც ჩაეწერა. იმის მაგალითს, რასაკვირველია, ბევრი მიჰბაძავს, ყველა ეროვნების ხალხი, და თუ ოსმალეთში ყველა არა თურქმა მაინც შეჰკრა საკუთარი ორგანიზაცია და მიიღო ფედერალისტური პროგრამა, მაშინ სულ მოკლე ხანში „ერთობისა და პროგრესიის" იდეებს ძლიერ ცოტა მომხრე ეყოლება, მარტო თურქთა შორის, რასაკვირველია.

არის კიდევ მესამე პარტია, პარტია ლიბერალებისა, რომელიც უფრო საბაჰ-ედინის პროგრამას უახლოვდება. მათ უკვე აქვთ თავიანთი პატარა წრე, რომელიც შემდეგ დიდ პარტიად გადაიქცევა. როგორცა უკვე იყო მაგალითები, ბევრი სიმპატიით მიეგება ასეთ პარტიის დაარსებას და ახალგაზდა ოსმალთა პარტიიდან იქ აპირებენ გადასვლას. დედა-აზრი ლიბერალებისა—დეცენტრალიზაციაა, მაგრამ ჯერ მათი აზრის სითამამეს ვერ მიუღწევია იქამდე, რომ თვითოეულ პროვინციას მიანიჭონ სრული კანონმდებლობითი თავისუფლება; ისინიც, ჩვენ სოციალ-დემოკრატებსავით, ფართო ოლქობრივ თვით-მმართველობით კმაყოფილდებიან, ერთად-ერთი საკანონმდებლო ცენტრი კი სტამბოლში უნდა იყოსო.

პარლამენტშიაც ასეთი ტენდენცია უკვე უფრო და უფრო ნათლად იჩენს თავს და რადგან მაკედონიის საკითხის მსგავსი საკითხები ხშირი იქნება შემდეგში, არ შეიძლება „ფირკები" ანუ პარტიები არ გაჩნდნენ ამ ორ საკითხის—დეცენტრალიზაციისა და ცენტრალიზაციის—ირგვლივ. შეფები ცენტრალისტებისა იქნებიან, რასაკვირველია, ახმედ-რიზა, თალაატ-ბეი, ჰუსსეინ-ჯაჰიდ-ბეი და სხვანი. ლიბერალებისა შეფი შეიძლება გახდეს ისმაილ-ქემალ-ბეი. არაბებისა და სხვა ერთა დეპუტატები, შეიძლება სხვა საკითხებში უფრო რეაქციონერები გამოდგნენ, მაგრამ ცენტრალიზაციას მათი უმეტესი ნაწილი არასოდეს არ მიემხრობა. რაც შეეხება ზორაბ-ეფენდის, სომეხს, ოსმალეთის პარლამენტის ერთი საუკეთესო წევრს, იგი და მისი მსგავსნი, რასაკვირველია, მემარცხენე პარტიას შეადგენენ, ფედერალისტებისას.

მაგრამ თუ ეროვნული საკითხი, საკითხი ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციისა მალე არ შეისწავლეს, კარგად არ ასწონ-დასწონეს ყველა პარტიებმა და რაც შეიძლება მალე არ გამოსძებნეს შესაფერი ღონის-ძიება მათ გადასაწყვეტად, ოსმალეთი ძლიერ ახლო მომავალში აჯანყებისა და ხოცვა-ჟლეტის ცეცხლში ჩავარდება და ვეღარც კონსტიტუცია უშველის, ვე-

*) იხ. „დროება", N 51.

# ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **გაბაპტისტობის შესახებ.** ამას წინად „კასპი“-დან გადმობეჭდილი ჰქონდა, კახეთში ქართველთა ორმა სოფელმა ბაპტისტობა მიიღო. ეგზარხოსის კანტორას გაუგია ეს ამბავი და, როგორც გადმოგვცეს, დაუდგენია, გამოძიება მოახდინოს და შესაფერისი ზომები მიიღოს გაბაპტისტებულ ქართველების დასაბრუნებლად.

◆ **სახალხო მასწავლებელთა კურსები.** ლ. ბოცვაძემ წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობას წარუდგინა განსახილველად მოხსენება სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების მოწყობის შესახებ. დღევანდელ პირობებში, ამბობს მომხსენებელი, როცა სწავლა-განათლების საქმე გაურკვეველია, აუცილებლად საჭიროა სახალხო მასწავლებელთა კურსების მოწყობა. მომხსენებელი თხოულობს, გამგეობა ეხლავე შეუდგეს თადარიგს, აირჩიოს კომისია, ან დაავალოს სასკოლო სექციის კურსების პროგრამის შემუშავება, ლექტორების მოწვევა, ბინის შოვნა და სხვა. მომხსენებლის აზრით, პროგრამაში უნდა შეტანილ იქმნას შემდეგი საგნები: ქიმია, გეოლოგია, მინერალოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ბიოლოგია, ასტრონომია, ქართული ლიტერატურა და ისტორია, სახელმწიფო უფლება, პოლიტიკური ეკონომია, პედაგოგია და სხვა. კურსები უნდა დაიწყოს 1 ივნისს და გათავდეს 1 ივლისამდე. ლექციების გარდა მასწავლებლებისათვის უნდა გაიმართოს ექსკურსიები. ამავე კურსებზე შეიძლება აგრეთვე სახალხო სკოლებისათვის საერთო პროგრამის შემუშავება თვით მასწავლებლების მონაწილეობით. მომხსენებლის აზრით, წ.-კ. საზოგადოების სკოლების მასწავლებელთა გარდა კურსებზე დასწრების უფლება უნდა მიეცეთ ქართული სკოლების სხვა უწყებათა მასწავლებლებსაც. მოხსენება გადაეცა სასკოლო სექციას, რომელმაც უკანასკნელ სხდომაზედ განიხილა იგი და პრინციპიალურად თანახმად გახდა მომხსენებლის აზრისაა. აზრადა აქვთ კურსები წელსვე მოაწყონ ქართულ გიმნაზიის სადგომში.

◆ **სოლოლაკის გვირაბი.** სოლოლაკისა და ბოტანიკურ ბაღის შემაერთებელ გვირაბის გასაფართოებლად ამ ჟამად ცხარე მუშაობაა. მუშაობს სამოცამდე კაცი. გვირაბი ივნისის პირველ რიცხვებში გაიხსნება.

◆ **წ.-კითხვის საზოგად. გამგეობის დადგენილებანი.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 5 მარტის სხდომაზე განიხილა მოხსენება ბათუმის ოლქის სოფელ ურეკის მაჰმადიან ქართველების წარმომადგენელთა (დიასამიძისა და გვერდაძის) შუამდგომლობა აღნიშნულ სოფელში სკოლის დაარსების შესახებ. გამგეობამ დაადგინა, თავის ხარჯით დაიქირაოს მასწავლებელი და ახლო მომავალში გახსნას სკოლა ამ სოფელში, სასკოლო შენობის შესახებ გამგეობამ დაადგინა, ეს საქმე დაავალოს სოფლის მცხოვრებთ. იმავე სხდომაზედ გამგეობას მოხსენდა, რომ სახალხო სკოლების დირექტორმა არ დაამტკიცა ბათუმის სკოლის მასწავლებლად ამას წინად დანიშნული გელაზანია, გამგეობამ დაადგინა, შეატყობინოს ბათუმის სკოლის სამზრუნველოს, რომ გელაზანიას ნაცვლად მიწვეულ იქნეს მასწავლებელი გარდავაძე.

◆ **ბოროტ-მოქმედებასთან ბრძოლა.** თანახმად ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილებისა გუშინ ქალაქის თავის მოადგილემ შუამდგომლობა აღსძრა, ნება მიეცეს გამგეობას საბჭოს მიერ განსახილველ საქმეთა სიაში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები: 1. პირადი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა ქალაქში; 2. ქალაქის პოლიციის უკეთესად მოწყობა; 3. ახლად დაკეტილ სავაჭრო სახლების ხელ-ახლა გაღება; და 4. ბოროტმოქმედთაგან თავის დაცვა. თუ საგუბერნიო ადმინისტრაციამ ნება დართო, ეს საკითხები განსახილველად საბჭოს ორშაბათის სხდომისთვის წარედგინება. ამავე საგნის შესახებ კერძო თათბირი ხმოსნებისა მოხდება დღეს, 7 მარტს.

◆ **განაჩენის გაუქმება.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, მთავარ სამხედრო სასამართლოს გაუუქმებია ქუთაისის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც „ყვირილის რესპუბლიკის“ საქმისათვის 18 კაცი გაამართლეს, ხოლო დანარჩენების სხვა და სხვა ვადით კატორგა და გამასწორებელი რაზმები მიუსაჯეს. ეს საქმე ხელმეორედ გაირჩევა.

◆ **სომხური სამკითხველოები.** სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ ტფილისში ცნობა მიიღო სურამისა, კუბისა და თელავის განყოფილებათ გან, რომ აღნიშნულ ადგილებში საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯით გაიხსნა სომხეთათვის სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები.

◆ **დეპუტატი ლომთათიძე.** როგორც ვიცით, მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა დეპუტატმა ლომთათიძემ შუამდგომლობა აღძრა, სატუსაღოდან ქალაქის საავადმყოფოში გადამიყვანეთო. ლომთათიძე ექიმების შემოწმებით მძიმედ არის ავად. „კასპის“ სიტყვით, სატუსაღოების მთავარ სამმართველოს ნება დაურთავს ლომთათიძესთვის, ქალაქის საავადმყოფოში გადავიდეს. ეხლა საქმე სევასტოპოლის გრადონაჩალნიკზეა დამოკიდებული.

◆ **სპარსეთის საკონსულოების რევიზია.** „გოლ. კავკ.“ სიტყვით, ამ თვეში პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვა სპარსეთის ელჩი. ელჩი რევიზიას გაუკეთებს ტფილისის საგენერალო კონსულს და კავკასიის სხვა კონსულებს და ვიცე-კონსულებს.

◆ **შეკითხვა.** „კასპის“ სიტყვით, გზათა მინისტრის ამხანაგი დურნოვო ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროს შეჰკითხებია, რა ზომები მიიღეთ, რომ ბაქო-სებუნჩას რკინის გზებზე მასსიური უბილეთო მგზავრები აღარ იყვნენო.

◆ **სახალხო სახლი.** სახალხო სახლში უკვე გაიყვანეს ელექტრონის ძალა. სახლი მალე ყველაფრით მოწყობილი იქნება.

◆ **გრ. რობაქიძის ლექციები.** ხუთშაბათს, 6 მარტს, ქართულ თეატრში ბ-ნმა გრ. რობაქიძემ წაიკითხა ლექცია ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ. ლექცია ძალიან მოეწონა საზოგადოებას და ახალგაზდა ლექტორი ხანგრძლივი ტაშიცემით დააჯილდოვეს. დღეს ბ-ნი რობაქიძე, იქვე ქართულ ენაზე წაიკითხავს ლექციას ცნობილ ნორვეგიელ მწერალზე „ჰენრიკ იბსენზე“. უეჭველია დღესაც ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ ფრიად საინტერესო ლექციას. ადგილების ფასი ხელმისაწვდომია. დასაწყისი საღამოს რვა საათზედ.

◆ **ხოლერის მოლოდინში.** 5 მარტს მოხდა კრება ტფ. ქალაქის ექიმებისა და უბნის სასინიტარო მზრუნველებისა. კრებას უნდა განეხილა საკითხი ხოლერასთან ბრძოლის შესახებ. კრებამ დაადგინა: 1. მოაწყოს ხოლერის წინააღმდეგ აცრა; 2. გამოსცეს მოწოდებანი ქართულად, რუსულად, თათრულად და სომხურად; 3. მოაწყოს მუშათა არტელი დასასუფთავებლად წყლის ნაპირებისა, ხევებისა და სხვა ადგილებისა. არტელის ხელმძღვანელი ქალაქის ტეხნიკოსი იქნება. 4. ეთხოვოს პოლიცმეისტერს, უბრძანოს პოლიციის მოხელეთ, რომ ეს უკანასკნელნი დახმარებას უწევდნენ სანიტარებს და ექიმებს და 5. მოეწყოს ლექციების ხოლერის შესახებ ხალხის გასაგებ ენაზე. რადგან საყასბოდან ბინძურ ფურგუნებით ეზიდებიან ხორცს, შეერთებულმა სხდომამ დაავალა მზრუნველებს გრ. თოიძეს და დ. შიხინოვს, შეამოწმონ ფურგუნები და მათ შესახებ შემდეგ კრებას მოახსენონ.

◆ 6 მარტს პოლიციამ დააპატიმრა ტატო სამხარაძე, რომელიც ვიატკის გუბერნიაში გადასახლების შემდეგ თავის ნებით ტფილისში დაბრუნებულა

◆ რადგან შესაძლებელია წყალდიდობისაგან ტფილისში ამ გაზაფხულზე უბედურება მოხდეს, ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ამის შესახებ თადარიგს.

◆ დღეს ზუბალაშვილის სახალხო სახლში, დილი 11 საათზე, კ. მ. სივკოვი წაიკითხავს რუსულად ლექციას: „აბრამ ლინკოლნი და მონების განთავისუფლება ამერიკაში“.

◆ 6 მარტს გოლოვინის პროსპექტზე მამადავითის ქუჩის პირდაპირ ელექტრონის ვაგონს ქვეშ გასქდა პეტარდა. არავინ დაშავებულა.

ქუთაისი

◆ **თავ. თავდგირიძისა და მიქელაძის გადასახლება.** როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუდგენია, მავნე მიმართულებისათვის გადაასახლოს ვიატკის გუბერნიაში ამას წინად დატუსაღებულნი სოხუმის ქალაქის თავად ნამყოფი თავ. ნ. ყ. თავდგირიძე და სააღგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრი თავ. დ. ა. მიქელაძე, ლიტერატურაში „მოველე“-ს პსევდონიმით ცნობილი. ამბობენ, სამს სხვა პირსაც აქვს გადაწყვეტილი გადასახლება, მაგრამ ეს ჯერ ოფიციალურად არ არის გამოცხადებული. ასეთმა მოულოდნელმა განკარგულებამ ყველანი გააოცა.

◆ **მასწავლებლის ვ. ბურჯანაძის გადასახლება.** ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს [illegible] უცვნია გადაასახლოს თავის საგენერალ-გუბერნატოროდან [illegible] პირველდაწყებითი (ილია ჭავჭავაძის სახელობის) სკოლის გამგე ვ. ა. ბურჯანაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ამბები

## ბალკანეთში

**ავსტრიის უმაღლეს საბჭოს სხდომა**

3 მარტს სხდომა მოახდინა ავსტრიის უმაღლესმა საბჭომ. თავმჯდომარეობდა მემკვიდრე ერც-ჰერცოგი, რომელმაც ფიცხად მოითხოვა დაუყონებლივ ომი გამოუცხადოთ სერბიასაო. მემკვიდრემ განაცხადა, რომ ბოსნიის საზღვარზე ცოტა ჯარი დგას, ხოლო თუ მოულოდნელად ომი დაიწყო, სწორეთ. ბოსნიაში შემოიჭრებიან მტრები: ჩერნოგორელები სამხრეთიდან, სერბები აღმოსავლეთიდან. ამიტომ საბჭომ დაადგინა და 4 მარტს ჰუნგრეთის ერთი კორპუსი საომრად დაამზადეს.

სამხედრო სამინისტროს სტამბაში საჩქაროდ იბეჭდება მოწოდება ხალხისადმი, რომელსაც მთავრობა დახმარებასა სთხოვს, თუ ვინიცობაა ომი დაიწყო.

იმპერატორი შენბრუნის სასახლიდან ვენის სასახლეში გადასახლდა, რომ უფრო ბეჯითად ადევნოს თვალყური ეხლანდელ დიდ ამბებს.

4 მარტს საღამოს უმაღლესი საბჭო ხელახლად შეიკრიბა თითონ იმპერატორის თავმჯდომარეობით და საბოლოოდ შეიმუშავა საომარ მოქმედების პლანი. (ბ.)

**გერმანიის იმპერატორი დახმარებას დაჰპირდა ავსტრიას.**

„ტაიმს“-მა დაბეჭდა წერილი ერთის გამოჩენილ დიპლომატისა, რომელიც ირწმუნება, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა როცა ამას წინად ინახულა იმპერატორი ფრანც-იოსები, გამოუცხადა მას, უფლებას გაძლევთ ისე მოიხმაროთ გერმანიის ჯარი, როგორც თქვენი საკუთარიო.

**გერმანია და საფრანგეთი ნეიტრალიტეტს დაიცავენ.**

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, გერმანიამ და საფრანგეთმა პირობა დასდეს ერთმანეთთან, რომ მათ, ორივემ, ნეიტრალიტეტი დაიცვან, თუ მათ მოკავშირე სახელმწიფოებს—რუსეთსა და ავსტრიას—შეიარაღებული შეტაკება მოუვიდათ.

**სერბიის საომარი პლანი.**

სერბიის ხაზინა და სამხედრო კასსა ბელგრადიდან კრაგუევაცში გადაიტანეს. სამხედრო სამინისტრო უსარგებლოდა სთვლის ბელგრადის დაცვას და ამიტომ იქიდან ჯარი გაჰყავს. სერბიის უმთავრეს ჯარს თავს მოუყრიან შაბაცს იქით მდინარე მორავის ველის დასაცველად. დრინის ხეობას ბოსნიის მხრივ დაიცავენ თავისუფალ მეომართა რაზმები.

**„ავსტრიის გამარჯვება შეუძლებელია“**

სამხედრო საქმის მცოდნე ცნობილი გერმანელი პოლკოვნიკი გედკე გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ში ადარებს ავსტრიის და სერბიის ჯარებს და ირწმუნება, ვითომ ავსტრია ქარაფშუტობას იჩენს მით, რომ ასე არად აგდებს სერბიის ძალასო. სერბიის ჯარი მშვენივრად არის შეიარაღებული და აღფრთოვანებულია მამულიშვილურ გრძნობით, ავსტრიის ჯარის ბრძოლის უნარი-კი საეჭვოაო. ამიტომ „ავსტრიის გამარჯვება შეუძლებლად“ მიაჩნია პოლკოვნიკ გედკეს. („კ.“)

**ავსტრია და სერბია რიგდებიან.**

რუსულ გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს გაუგონია, ვითომ სერბია და ავსტია რიგდებიანო.

## ოსმალეთში

**ყალბი წერილი.**

სტამბოლში დაატუსაღეს პრინც იუსუფის მდივნად ნამყოფი ალი-რიზა, რომელიც მისვე ძმას დაუბეზღებია. გაჩხრეკის დროს ალი-რიზას უპოვეს წერილი, რომელშიაც ნაამბობია, რომ პრინც იუსუფთან გამართული იყო თათბირი ხილმი-ფაშისა, ახმედ-რიზასი და ზოგიერთ მინისტრის თანადასწრებით. ამ თათბირის დროს მოლაპარაკება იყო გამართული აბდულ ჰამიდის ტახტიდან ჩამოგდებისა და მის ნაცვლად პრინც იუსუფს ტახტზე აყვანის შესახებო. ირწმუნებიან, რომ ეს წერილი ყალბიაო.

**ოსმალელი მუშები.**

ოსმალელ შავ მუშებს—გემების დამტვირთველთ, კურთნის მუშებს და მენავეებს—დაწესებული აქვთ თავ-თავიანთ ამქრები და არტელები. ამქრების მეთაურებად არჩეულნი არიან ეგრედ წოდებული შეიხები. შავ მუშების უმეტესობას აქვს საკუთარი სახლები და ქოხები. კურტნიან მუშის შრომა მეტად მძიმეა. სტამბოლი მთა-გორიანი ქალაქია; ტვირთის გადასატანად აქ ურმებს არა ხმარობენ; ცხენებითა და სახედრებით გადააქვთ მხოლოდ მიწა, ხე-ტყე და ქვა, დანარჩენი ტვირთიკი სულ კურტნიან მუშებს გადააქვთ თავიანთ ზურგით: ისინი იკიდებენ 15 ფუთამდე. ხუთ ფუთიანი საცალო ფქვილისა მათ თამაშობითა და ხუმრობით მიაქვთ. კურტნიანი მუშა, როცა გაჩაღებული მუშაობაა, დღეში სამს მანეთზე მეტსა შოულობს. ავსტრიის საქონლის ბოიკოტის დროს ნავთ-სადგურის მუშები უსაქმოდ იყვნენ და კომიტეტისგან დღეში ეძლეოდათ მხოლოდ 5—7 პიასტრი, ესე იგი 40—55 კაპ. შავ მუშებს მეტად მკვიდრი ორგანიზაციები აქვთ, თავიანთ ვიწრო პროფესიონალურ ინტერესებს ისინი იცავენ მედგრად და მწყობრად, მაგრამ კლასიური თვითშეგნება ჯერ არა აქვთ. კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ, როცა ქიანქველამაც-კი ხმა ამოიღო, კურტნის მუშებს არც ერთი მოთხოვნა არ წარუდგენიათ. მათ მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ პატრიოტულ დემონსტრაციებში ავსტრიისა, ბოლგარიისა და სხვა ეროვნულ მტრების წინააღმდეგ.

**სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება.**

ოსმალეთის პარლამენტში დეპუტატებმა შეიტანეს წინადადება, რომ სამხედრო სამსახურის ვადა ორ წლამდე შემცირდესო. პალატამ ეს წინადადება სამხედრო კომისიას გადასცა შესამუშავებლად.

## სპარსეთში

**გილზების კანფისკაცია.**

ქალ. ენზელში რევოლიუციონერებმა ხელში ჩაიგდეს და დაისაკუთრეს 90 ათასი თოფის გილზა, რომელიც ფოსტით მოსულიყო. ელიან, რომ ენზელში კიდევ მოვა ფოსტით გილზებიო.

**პანოვი.**

რეშტიდან ატყობინებენ „რეჩ“-სა: „ბოლგარელი ოფიცერი პანოვი რევოლიუციონერებმა თავიანთ წრიდან განდევნეს, რადგან მან დიქტატორობა დაიწყო და ზოგიერთი სხვა ურიგო საქციელი ჩაიდინაო“.

**შაჰის ჯარის მხეცობა.**

შაჰისთვის თავდადებულმა ყარადაღელმა ცხენოსნებმა, როგორც ვიცით, ჯულფისაკენ გაილაშქრეს. „ბაქუ“-ს ატყობინებენ ჯულფიდან, რომ მათ გზა და გზა ათი სოფელი სულ მთლად მოსპეს. ოთხი ქალი თავიანთ ბავშვებით მდინარ არეზში გადავარდა ყარადაღელების შიშით. რა მოუვიდათ ამ ქალებს,—არ იციანო.

**თათბირი სპარსეთის საქმეების შესახებ.**

მიუხედავად „გოლ. მოსკვი“-ს უარყოფისა, „ბირჟ. ვედომოსტ“-ი მაინც ირწმუნება, რომ ამ დღეებში პეტერბურგში საგანგებო თათბირი მოახდინეს სპარსეთის საქმეებზედ. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ: გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი, მისი ამხანაგი ჩარიკოვი, აზიის საქმეთა განყოფილების ზედამხედველი კლემი, სამხედრო მინისტრი რედიგერი, სამხედრო და საზღვაო მთავარ შტაბების უფროსები, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი და სხვანი. პირველ მინისტრის სტოლიპინის ავადმყოფობისა გამო, თათბირის დროს თავმჯდომარეობდა გარეშე საქმეთა მინისტრი.

---

...არც პარლამენტი და მისი „ფირმები“, ველარც სახელმწიფოები და თვით ალლახიც! ჯერ-ჯერობით არავითარი ნაბიჯი არ წარუდგამს ოსმალეთის პარლამენტს ამ უდიდეს საგნის გამოსარკვევადაც კი, არა თუ გადასაწყვეტად, შეცდომა კი ბევრი ჩაიდინა. ასეთი შეცდომა იყო მაკედონიის საქმის მითქმის ჩაფუჩება, აგრეთვე ის ძველი დაუფარავი ტენდენცია ასსიმილაციისა, რომელსაც კერძო ლაპარაკებშიაც კი აცხადებენ გულწრფელად თვით დეპუტატები. შემდეგ უნდა მოისპოს ის ოთხი „სახრავი“, თუ ოსმალეთს სიცოცხლე უნდა. ამ ოთხ „სახრავის“ მოსპობის აუცილებლობას თვით სულთანებიც კი ხშირად ჰხედავდნენ და ცდილობდნენ განეკურნათ ამ სენისაგან ოსმალეთი, მაგრამ ამაოდ. ეხლა პარლამენტის ვალია მათი მოსპობა. ჯერ-ჯერობით არაფერი სერიოზული რამ არც ამ მხრივ გაუხორციელებიათ.

რა არის ეს ოთხი „სახრავი“?

ოსმალები მონღოლთა შთამომავალი ხალხია. ეს ნომადები აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოადგნენ ჯერ წინა-აზიას და მერე ევროპას. აზიაში მათ შეითვისეს მაჰმადიანობა, რომელიც, რასაკვირველია, გარდაქმნეს მსგავსად თავიანთ ეროვნულ ხასიათისა და სოციალურ პირობებისა ევროპაში, განსაკუთრებით სტამბოლის აღების შემდეგ, მათ შეითვისეს ყოველივე სიგლახე ბიზანტიისა: არა მათი კულტურა, არამედ რაც ყველაფერზე უარესი იყო—წესი ბიზანტიის სახელმწიფო მართვა-გამგეობისა. ამგვარად სამი სულ სხვა და სხვა სოციალური ქსოვილი გადააკერეს ერთმანეთზე ოსმალეთის იმპერიის დამაარსებლებმა და რაც გამოვიდა აქედან—ყველამ იცის: გამოვიდა ხალხი, რომელსაც 600 წლის განმავლობაში არ გამოუჩენია არავითარი შემოქმედებითი ნიჭი; პირიქით რაც სხვას ჰქონია, ისიც წარუტყვენავს და გაუნადგურებია. მონგოლთა წარმოდგენით, სახელმწიფო ერთი დიდი კარავი იყო, რომლის კარიც (Porte) წარმოადგენდა მთავრობას. უპირველესი მოვალეობა სახელმწიფოსი იყო შენახვა ხელმწიფისა ანუ ურდოთა უფროსისა, მისი ვეზირებისა, ურდოთა ათასნაირ უფროსთა ჰარამ-ხანისა, საჭურისთა და სხვათა. ამათი შენახვა, რასაკვირველია, მთელ ხალხს აწვა კისერზედ და ომიც იმიტომ იყო მუდმივად სასურველი, რომ ნადავლით ეცხოვრათ. აქედან წარმოსდგება „მონგოლის სახრავი“, რომელიც დარჩა ბოლომდის ოსმალეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და გადიქცა „ჯარისა და სასახლის სახრავად“, რომელმაც მართლაც და მთლად გამოხრა ოსმალეთის იმპერია. მუსულმანთა სჯულის საფუძველი ყორანია. ყორანი—ყველაფერია, წიგნი ყოველგვარ მეცნიერებისა, ცოდნისა, საზოგადოებრივ ყოფა-ქცევისა და სხვა. ამიტომაც „ულემები“, როგორც სჯულის მასწავლებელნი და მცოდნენი წმინდა სამოციქულოსი არა მარტო რელიგიოზურ ფუნქციას ასრულებენ, არამედ ფუნქციას მსაჯულისას. „ულემებმა“ უნდა განამტკიცონ ერთობა მორწმუნეთა, როგორც ზნეობრივი და გონებრივი, ისე პოლიტიკური და ამიტომაც ეს ულემები არიან ამავე დროს „ყ დები“ ანუ მსაჯულნი და უმაღლესი ფაქტიური ადმინისტრატორებიც. რაც დიდი ვეზირი ომის საქმეებშია, ის შეიხ-ულ-ისლამი სამოქალაქო და სამსაჯულო საქმეში. მაგრამ როდესაც სამსაჯულო საქმეების განგება ერთი რომელიმე სჯულის წარმომადგენელთ ეკუთვნით, მეორე სჯულის ხალხი-კი გამორიცხულია ამ ფუნქციიდან, მაშინ, რასაკვირველია, მართლმსაჯულება არ შეიძლება ისეთ ქვეყანაში, როგორიც ოსმალეთია, სადაც ნახევარზე მეტი თითქმის ქრისტიანი სცხოვრობს. მოსყიდვას, ცრუ-მორწმუნეობასა და ცარცვა-გლეჯას ყოველთვის ადგილი აქვს. აქედანაც წარმოსდგა „სახრავი რელიგიოზური და სამსაჯულო“, რამაც აგრეთვე გამოხრა იმპერია.

ბიზანტიისაგან ოსმალებმა ისესხეს ფისკალური ორგანიზაცია და კიდევ უფრო შორს წავიდნენ ხალხის სისხლის წოვის საქმეში. დაჰყვეს მთელი იმპერია ბიზანტიურის წესით საგუბერნატოროებად, მაგრამ ადმინისტრაციის უმთავრეს მიზნად ის გაჰხადეს, რომ რაც შეიძლება მეტი გადასახადი მოეკრიფა ჩაბარებულ მცხოვრებთაგან და ეგზავნოს ცენტრში ხელმწიფეს იმის აუარებელ ამალის შესანახად. ამასთან ისლამის კანონით მთელი მიწა ღმერთისაა, მაშასადამე, მიწამ ყოველთვის უნდა იხადოს მეათედი შემოსავლისა ღმერთის სასარგებლოდ ანუ ხელმწიფის სასარგებლოდ, რომელიც პირველი წარმომადგენელია ღმერთისა ამ ქვეყნად—„აჩრდილი ღმერთისა ქვეყანასა ზედა“. ქრისტიანებს არ ეკუთვნით მიწები საკუთრებად წინასწარმეტყველის ტერიტორიაზედ, მაგრამ მოწყალებით მაინც დაუტოვეს მათ ცოტა მიწა ღმერთისათვის მებრძოლებმა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ „ხარაჯა“ ეხადათ, ეს ხარაჯა კი ისეთი მძიმე გადასახადია, რომ ყოვლად შეუძლებელია მიწათმოქმედების პროგრესი, რადგან მთელი მოსავალი გლეხისა სულ ამ ხარაჯაზედ მიდის. ბეგებისა, პროვინციაში დაბანაკებულ ჯარისა და მუშაობას არაჩვეულ ნორმოდებისაგან ცარცვა-გლეჯა კიდევ სხვა არის. აქედან წარმოსდგება მესამე „სახრავი“—„სახრავი გადასახადებისა“, რაიცა კიდევ უარესია პირველ სამ სახრავზედ. ამას მიუმატეთ „სახრავი“ გზის მკეთებელ ინჟენერთა და მათ ათასგვარ თანაშემწეთა და დაინახავთ, რომ ეს „ოთხი სახრავი“ სრულიად საკმაოა, რომ მართლაც პირქვე დაემხოს უდიდესი და უმდიდრესი იმპერიაც-კი. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ფეოდალიზმი, ოსმალების უმოქმედობა და სიძულვილი მუშაობისადმი, აგრეთვე მთელი საზოგადო მუშაობის „ღვთის ანაბარად“ დატოვება—აი რა ახასიათებდა კიდევ ოსმალთა საზოგადოებას და დაღუპვის კარამდისაც მიიყვანა იგი ასეთმა გარემოებამ.

**უსახლ-კარო.**

(შემდეგი იქნება)

გაზეთი ფიქრობს, რომ ამ თათბირის დროს მოილაპარაკებენ იმ ბეჯით ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც რუსეთის მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღებს რუსეთის ეკონომიურ ინტერესების დასაცველად ჩრდილოეთ სპარსეთში.

**მოძრაობა თეირანში.**

რეშტში შემდეგი ცნობა მიიღეს თეირანიდან: „თუმცა შაჰის მთავრობა საზარელ სასტიკობას ხმარობს, ხალხი მაინც არ ეპუება და თეირანის თითქმის ყველა კუთხეში ყოველდღე ჰმართავს მიტინგებს მთავრობის წინააღმდეგ. შაჰის მთავრობას გონება დაებნა. წარჩინებული მოხელეები იმდენად დაბნეულნი არიან, რომ არ იციან, რა ღონისძიება მიიღონ „აჯანყებულთა" წინააღმდეგ.

ლიახოვის ბრიგადა იცავს შაჰის სასახლეს და ემირჯენგის სადგომს. დიდკაცობის ახალგაზრდათა რევოლიუციონურმა კომიტეტებმა ვერ გაამართლეს მთავრობის იმედი. გაჭირვების წამს ამ კომიტეტებმა გამოიჩინეს სრული მოუმზადებლობა.

ისპაჰანიდან და კაზვინიდან მთავრობას მოუვიდა ცნობა, რომ იქ საყოველთაო აჯანყება დაიწყოო".

**კაზვინის ენჯუმენი.**

კაზვინელმა რევოლიუციონერებმა დეპეშით შეატყობინეს თავიანთ რეშტელ ამხანაგებს, რომ აქაც თქვენის მაგალითით, ენჯუმენი დავაარსეთ და მთელი კაზვინის ოლქის მმართველობა მას ჩავაბარეთო.

**რევოლიუციონერების ახალი გამარჯვება.**

სათარ-ხანის უკანასკნელ დიდ გამარჯვების შემდეგ, რევოლიუციონერებმა ხელახლად აიღეს ქალაქები ხოფიანი და მარანდა, რომლებიც ამას წინად ეინუდდოვლემ წაართვა.

ქალ. ხოფიანში დგას 700-ზე მეტი კარგად შეიარაღებული რევოლიუციონერი; ისინი შეუდგნენ ქალაქის გამაგრებას.

რახიმ-ხანის მრისხანე რაზმზე, რომლის ასეთი დიდი იმედი ჰქონდა მთავრობას, ეხლა ლაპარაკიც-კი აღარ შეიძლება. განთქმულ ყაჩაღის ცხენოსნები სულ აქეთ-იქით მთებში გაიფანტნენ, რადგან რახიმ-ხანი ჯამაგირს ვეღარ აძლევდა.

**მოძრაობა ხამადანში.**

ხამადანშიაც დაიწყო მოძრაობა. შეიხი ბადირი, რომელიც შარშან აქაურ მოძრაობას მეთაურობდა, დაბრუნდა ჰამადანში, ხელახლად შეკრიბა კონსტიტუციონალისტები და ძლიერი აგიტაცია გამართა. რეშტელ და ისპაჰანელ რევოლიუციონერების გამარჯვებით აღფრთოვანებული, იგი უქადაგებს ხალხს, ნეჯეფის მუშტეიდების მოწერილობა შეასრულეთ და შაჰს კონსტიტუციის აღდგენა მოსთხოვეთო. ხალხმაც შეისმინა მისი რჩევა და შესაფერისი მოთხოვნა გაუგზავნა თეირანის მთავრობას. ხელოსანთა ამქრების მეთაურები პროტესტის ნიშნად ოსმალეთის საკონსულოში ჩასხდნენ „ბესტში".

**შაჰი თავის ბიბლიოთეკასა ჰყიდის.**

გაკოტრებული შაჰი თავის ბიბლიოთეკას ჰყიდის, თურმე. რუსეთის ფინანსთა სამინისტროს აგენტი ოსტროგრადსკი თეირანიდან იუწყება: „შაჰი ნელ-ნელა ჰყიდის თავის ბიბლიოთეკას, სადაც ინახებოდა ძვირფასი და იშვიათი ძველი ხელნაწერები და სურათები სპარსულ და ინდოეთის სკოლისა. ხმა დადის, რომ ინგლისელები მთელ ბიბლიოთეკაში 70 ათას თუმანს აძლევენ შაჰსაო. სასურველია, რომ ეს ბიბლიოთეკა იყიდოს პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკამ. ადგილობრივ ურიებს 4 ათას თუმნად უყიდნიათ 100 საუცხოვო, კარგად შენახული სურათი მე-XVI საუკუნისა. ეხლა ურიები თხოულობენ 6 ათას თუმანს. აუცილებელი იქნება ამ სურათების ხელიდან გაშვება. თუ შეიძლებოდეს, მოახერხეთ რუსეთის რომელიმე დაწესებულებამ იყიდოს ეს სურათები.

რუსეთიდან უპასუხეს ოსტროგრადსკის, რომ არც რუსეთის სამეცნიერო აკადემიას ირც აზიის მუზეუმს ფული არა აქვთ და თუ ხაზინა არ დაეხმარება არ შეუძლიანთ შაჰის ბიბლიოთეკის ყიდვაო.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული საღამო დორპატში.**

წელს, 23 თებერვალს, პატივცემულ და ცნობილ პროფესორის რაუბერის გამგეობით, ქართულმა წრემ გამართა ჩვეულებრივი ქართული საღამო. შესამჩნევად იყო მორთული დარბაზი და ფოიე: მცენარეები, ყვავილთა ხვეულები, კიოსკები და სხვა. ერთ ადგილას გარდებსა და გვირგვინში გახვეული ჩვენი ილიას სურათი იყო, მეორე ადგილას აკაკისა, შოთა რუსთაველისა და სხვა ჩვენი საპატიო მწერლებისა. ყველაზე უფრო დიდი ყურადღება მიიქცია წყარომ, რომელიც იმდენად მიმსგავსებოდა ნამდვილ მთის ძირში მოჩუხჩუხე წყაროს, რომ ყველა გამვლელი იძულებული იყო, დაელია ერთი ჭიქა, მხოლოდ ცივი წყალი კი არა, კახური ღვინო, რომელიც გამოჩხრიალდებოდა დარიდან. წყაროს ზევიდან დასცქეროდა თამარის ციხე.

უმთავრესი ადგილი საღამოზე ეჭირა საკონცერტო განყოფილებას. დასდგეს პატარა პიესაც.

პირველად ორმა შეერთებულმა ორკესტრმა (ქალაქის კაპელამ და ვანემუინეს თეატრის ორკესტრმა) ბ. კ. ფოცხვერაშვილის დირიჟორობით, შეასრულა იპპოლიტოვ-ივანოვის სიუტიდან ქართული მარში, ჰაიდნის მეხუთე სიმფონია, ბეთხოვენის და მოცარტის თათრული მარშები, ბალანჩივაძის დავლური და ლეკური („თამარ ცბიერიდან") და იპპოლიტოვ-ივანოვის პირველი კავკასიური ესკიზები. ამ განყოფილებამ ძრიელ მწყობრად ჩაიარა, ყველა ნომერი ცხარე ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ამ განყოფილების შემდეგ ბ-ნმა ვ. სარაჯიშვილმა რუსულად და იტალიანურად იმღერა რამდენიმე რომანსი. მომღერალს საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით შეჰხვდა. ყურადღება მიიქცია ბ-ნმა სალმე ჰერმანმა, რომელმაც შესაფერის გრძნობით დაუკრა როიალზე ქართული რაპსოდია ა. კორეშჩენკოსი. ეს განყოფილება გათავდა ბ-ნ ხოჯაევის მოხდენილ მელოდეკლამაციით.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის ახალმა სიმფონიურმა ესკიზმა „ღმერთის არმაზის თაყვანის-ცემა" (სიმფონიური სურათი სოლოსა, ხოროსა და ორკესტრისათვის). ეს ესკიზი თავის სამუსიკო ფორმით მოგვაგონებს ბალამბერგის დემონს". უმთავრეს შინაარს გადმოგვცემს ორკესტრი. სცენაზე ერთმანეთს მისდევენ ცოცხალი სურათები, იმღერიან სოლისტები და ქალ-ვაჟთა ხორო.

მთავარი იდეა ესკიზისა არის კერპთაყვანისმცემლობის დამარცხება და ქრისტიანობის გამარჯვება. ესკიზში 5 ნაწილია: შესავალი, ლოცვა არმაზის წინაშე, სამღრთო როკვა, მსხვერპლის შეწირვა, კერპთა დამხობა, ახალი სარწმუნოება და ფინალი. პიესა ტეხნიკურად და იდეურად ძრიელ მოხდენილად არის დაწერილი. შესავლიდან დაწყებული თითქმის ფინალამდის ორკესტრში ორი სამუსიკო თემაა, ერთი გამომხატველია კერპთაყვანის-მცემლობისა, მეორე კი ქრისტიანობისა. ესენი განუწყვეტლივ ერთმანეთს ებრძვიან. პირველი თემა უმწვერვალეს განვითარებამდის მიყვანილია ესკიზის მეოთხე მომენტის დროს, როცა სცენაზე ცოცხალი სურათი არმაზის კერპს წარმოგვიდგენს: იმის წინაშე ურიცხვი ხალხი შეკრებილა მსხვერპლის შესაწირავად. ხალხი პირქვეა დამხობილი, ქურუმიკი-თავის მსახურებით მზადაა მსხვერპლის შეწირვას შეუდგეს. ხალხი და ქურუმი არმაზს სამღთო დიდებამ უმღერიან: „დიდება არმაზს, ციურ ძალთა მეუფეს". ამ სურათის შემდეგ პირველი თემა თან და თან სუსტდება, პატარა ხანს თითქმის მთლად იკარგება. გამოხატულია ის თქმულება, ვითომ არმაზის კერპი ნინოს ლოცვით ელვა-ქუხილს შეემუსროს. ორკესტრში ასტყდება საშინელი გრგვინვა, აქა-იქ ძველი თემის ნაწილები ისმის, მაგრამ ყველა ეს ისევ იკარგება, გრგვინვა დასცხრება და ორკესტრში ისმის ქრისტიანულ მოძღვრების გამომხატველი თემა.

პირველად ესეც სუსტია, აკომპანიმენტში კერპთაყვანისმცემელი ჰანგები ისმის, მაგრამ მხოლოდ აქა-იქ. როცა თემა უმწვერვალეს განვითარებას აღწევს და ვალტორნა სასარების კითხვის ჰანგს უკრავს, იხდება ფარდა და თვალწინ იშლება შემდეგი სურათი: კერპი და მისი სამსხვერვლო დანგრეულია; ცოტა მოშორებით მოსჩანან დასოცილი ქურუმი და მისი მსახურნი; ხალხა გარბის, რამოდენიმე კაცი კი გაკვირვებული შეჰყურებს წმინდა ნინოს, რომელიც მოსჩანს მახლობელ მთიდან ვაზის ჯვარით ხელში. ხორო წმინდა ნინოს ჰიმნს უგალობს. სურათი ორკესტრში ბოლოვდება ძრიელის ფინალით, სადაც ერთის მხრით. გამოხატულია კერპთაყვანისმცემლობის გლოვა და მეორეს მხრით, ქრისტიანობის ძლევამოსილებმა. ამ უკანასკნელმა ძალიანი ასიამოვნა საზოგადოებმა და ტაშის ცემას ბოლო აღარა ჰქონდა. ფოიეში ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილს შეეგება რამდენიმე პროფესორი, დიდი მადლობა გადაუხადეს და სთხოვეს, კვლავაც გააგრძელოს ამგვარი მუსიკა.

საღამო დამთავრდა ლეკურითა და ევროპიულის ცეკვით რამაც დილის 5 საათამდის გასტანა.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ საღამოს სულის ჩამდგმელი იყო ბ-ნი. ფოცხვერაშვილი. მისმა ესკიზმა დაგვარწმუნა, რომ იგი ბევრ ახალ რამეს შესძენს ქართულ მუსიკას.

ბ-ნი ფოცხვერაშვილი ამ საღამოსთვის მოსკოვიდან ჩამოვიდა.

ა. ქ—ძე.

# წერილი ბრიუსელიდან

ქართულ მოსწავლეთა რიცხვი თანდათან მატულობს ბელგიაში წელს ბელგიის სხვა და სხვა ქალაქში, უმთავრესად ბრიუსელსა, მონსსა და ლიეჟში წარსულ წლებზე მეტი სტუდენტია. ვისაც ძალა და მეცადინეობა შესწევს, უფრო მონსის სამთო პოლიტეხნიკუმს ეტანება, სადაც ხუთი წლის კურსია, თუ არ ჩავთვლით ერთ წელიწადს ენის შესასწავლად და თავისუფალ მსმენელად ყოფნას, რის შემდეგ მაინც ეგზამენი უნდა ჩააბაროს პირველ კურსისათვის. ბრიუსელში მხოლოდ ორი სტუდენტია უნივერსიტეტში—ერთი ფილოლოგიურ და მეორეც ეკონომიურ ნაწილზე, ორიც კიდევ ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტში, დანარჩენნი თავისუფალი მსმენელები არიან. აქ თორმეტი ქართველია.

ყველას კარგად მოეხსენება პროვოკატორ აზეფის საქმენი საგმირონი. ამას წინად ვიღაც რუსი შეუსულა რუსულ სამკითხველოში და, წიგნი რომ წაუღია, დავთარში აზეფის გვარი მოუწერია. გაიგეს თუ არა ეს, მაშინვე ასტყდა განგაში: არიქათ, აზეფი აქა ყოფილაო. ბანი მისცა პრესამაც. იმ წამსვე დეპეშა აფრინეს პარიზში და იქიდანაც იმავე საღამოს მოვიდნენ კაცები ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად. მაგრამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ პროვოკაცია იყო.

არ გასულა ერთი კვირა, რომ სენტ-ჟოსტ-ტენ-ნოოდის კომუნაში უზარმაზარი (ამ სათაურით უძღვნეს ფრანგულმა გაზეთებმა წერილები) ყუმბარა იპოვნეს. ასტყდა განგაში. მთელი ბრიუსელის პოლიცია ფეხზე დადგა და მესამე დღეს გეში მიიტანეს ერთ რუსზე, რომელიც ახლად დაბინავებულიყო ბრიუსელის მახლობლად, ქალაქ გენტში. როდესაც შევიდნენ პოლიციელები (ღამე იყო), რუსმა (მისი გვარი ჯერაც დანამდვილებით არ იციან) უცბად ლამფა ჩააქრო და ასტეხა სროლა, რომლის დროსაც დაჭრილ იქმნა ორი აჟანი (გოროდოვოი) და მოკლული კომისარი. რუსი ლამობდა გაქცევას, მაგრამ შეიპყრეს. გვარის თქმაზე უარი განაცხადა, მხოლოდ სთქვა, ანარქისტების პარტიას ვეკუთნიო. რა თქმა უნდა, მთელი ბრიუსელი ყალყზე დადგა. ბურჟუაზიულმა პრესამ თავგანწირული იერიში მიიტანა რუსის მთელი კოლონიის გასადევნად, მაგრამ პროგრესიულმა გაზეთებმა პასუხი გასცეს და მალე ამღვრეული წყალი დაწმინდავდა. ამ ალიაქოთში კი თხუთმეტამდე ემიგრანტი გაძევებულ იქმნა საზღვრებიდან. დაჭრილები მესამე დღეს გარდაიცვალნენ. რეაქციონური პრესა იწვევდა პროცესის დროს რუსების ცემა-ტყეპას, მაგრამ ამანაც მშვიდობიანად ჩაიარა და ბოლო დროს გამოირკვა, რომ ესეც პროვოკაციაა აზეფისებური, ბრიუსელიდან რუსების გასადევნად. რუსს, ვითომდა ანარქისტს, უპოვნეს წერილი, სადაც აშკარად იყო ნაჩვენები, რომ მას ერთ გავლენიან პროვოკატორთან ჰქონდა მიწერ-მოწერა, რომლის ვინაობაც აქ ყველამ კარგად იცოდა. ისიც ალიაქოთის დროს სადღაც გადიკარგა. იმის შესახებ გაზეთებში იყო დაბეჭდილი, რომ ჟენევიდან ჩამოვიდა პროვოკატორი და გაფრთხილდითო.

ცოტა რამ აქაურ კარნავალზე (სახალხო დღეობა ევროპაში). კარნავალი დაიწყო 8 თებერვალს. პირველად დავესწარი და სიმართლე უნდა ვთქვა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ჩემზე. მთელ ქუჩებში ხალხის ტევა აღარ იყო, მუსიკის ხმა აყრუებდა მთელ ბრიუსელს, ბულვარ ანსპახზე გავლა ყოვლად შეუძლებელი იყო, ხალხი დიდიდან პატარამდე ქუჩაში გამოფენილი მხიარულებდა. მასკების უსაზღვრო მხიარულებას ნუღარ იტყვით. არეული იყო მონასტერი, ვინ რას არ სჩადიოდა, ვერ გაარჩევდით. წელს წინადღითვე პრესის საშუალებით ამცნეს საზოგადოებას, რომ კონფეტები (ქაღალდის ნაჭრები) არ ეყარათ. წინად თურმე (როგორც ამხანაგებმა გადმომცეს) კონფეტებით ქუჩები ისე იყო მოფენილი, რომ ადამიანს ეგონებოდა თოვლი დაუდვიაო. ამასთან პირი რომ გეღო სალაპარაკოდ, შიგ პირში ბლუჯა კონფეტს შემოგაყრიდნენ და სხვა. წელს აკრძალეს და ეს ყველამ კარგად შეასრულა. საკმაო იყო გაზეთებში გამოცხადება, რომ ყველას ხელი აეღო კონფეტზე. ესეც ცივილიზაციის ნაყოფია ალბად.

ლიკო.

# სასამართლო

**ციმბირიდგან გამოქცეულის გასამართლება.**

გუშინ ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ვ. ე. გოცირიძისა. მას ჰბრალდებოდა ციმბირიდან გამოქცევა. ბრალდებული ტურუხანის ოლქში ყოფილა გაგზავნილი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრობისათვის.

სასამართლომ მთავრობის ნება დაურთველად ტურუხანიდან წამოსვლისათვის გოცირიძეს გადაუწყვიტა 3 წლის კატორღაში გაგზავნა; თანაც თავმჯდომარემ განმარტა განაჩენი და სთქვა, ამაზედ მცირე სასჯელი კანონით არ შეიძლებაო.

**ტფილისის მესამე სესხის ყალბი ობლიგაცია**

იქავე გაირჩა საქმე ოდესის ელექტროტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფის ე. ხეთერელისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ტფილისის მესამე სესხის 1000 მ. ყალბი ობლიგაციის გასაღება. სასამართლომ ბრალდებული გაამართლა.

# რუსეთი

✦ **სამინისტროში.** როგორც ვიცით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი ავად არის. მის მაგიერ მინისტრთა საბჭოში თავმჯდომარეობს ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი. მინისტრებს რუხლოვს და ტიმირიაზევს განუცხადებიათ, ჩვენ არ შეგვიძლიან კოკოვცევის თავმჯდომარეობით ვიმუშავოთო.

✦ **სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ.** ქ-ნ ფილოსოფოვას და სიკვდილის დასჯასთან მებრძოლ ქალის წრის სხვა წევრებს გაზეთ „სლოვოში" შემდეგი წერილი დაუსტამბიათ: „ქალთა წრის და დედების მოწოდებას უკვე 3,000 სულზე მეტმა მოაწერა ხელი. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მოწოდებაზე ჩვენი ძრავალ ტანჯულ სამშობლოს ყოველ კუთხის დედები, დები, ცოლები ხმას ამოიღებენ და სხვების პროტესტს თავიანთ პროტესტსაც შეუერთებენ."

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" ბრძანება.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მთავარ საბჭოს პროვინციალურ განყოფილებისთვის მიუწერია: „სამხედრო რაზმები ხელ ახლად მოიწვეთ, რადგან ეხლა უფრო საჭიროა, რომ სახელმწიფოს შიგნით წესიერება და მშვიდობიანობა დ ვიცვათ. თუ ომი ასტყდა, მაშინ ხომ უფრო საჭირონი ვიქნებითო."

✦ **ვექილი გილერსონის საქმე.** ჩვენმა მკითხველმა უკვე იციან ნაფიც ვექილის გილერსონის სამართალში მიცემა და ამისი მიზეზი. მან ბელოსტოკის პოგრომის პროცესის დროს სიტყვა წარმოსთქვა და ადმინისტრაციის მოქმედებას შეეხო; პროკურორმა იმის სიტყვაში მთავრობის შეურაცყოფა დაინახა და სამართალში მისცა. მისი საქმე მაისში გაირჩევა. გილერსონის საქმის დასაცველად რუსეთის ნაფიც ვექილთა ყველა საბჭო თავის წარმომადგენლებს ჰგზავნის. საბჭოების უმეტეს ნაწილს უკვე აურჩევიათ წარმომადგენელნი.

✦ **ახალი კანონ-პროექტი.** სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატებს ახალი კანონ-პროექტი შეუმუშავებიათ, რომლითაც ჩვეულებრივ დანაშაულობისთვის, (მაგ., ცხენის ქურდობისა, ცეცხლის წაკიდების, ძარცვა-გლეჯისათვის) დამნაშავე სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ამ კანონ-პროექტს სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატი შულგინი შეიტანს მემარჯვენეთა ფრაქციის სახელით.

# განცხადებანი


**თესლეულობის**

მაღაზია კიწმარაშვილის და ამხ.-სა **ქუთაისში**, პუშკინის ქუჩა, უპრავის ქვეშ.

მიღებულია საუკეთესო ჯიშების იონჯის, სამყურის, კოინდრების, ბჟოლის, ეკლის ხის (гледичъ) და ყოველნაირ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა. აქვე იყიდება ნამყენ ხეხილების ნერგები. მსურველთ პრეისკურანტი ეგზავნებათ მუქთად. (25—კვ.—24)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
(დაარსებულია 1889 წელს)
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამდე, საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**
(წ.—1—42)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

**ნუ რყვნით ქალებს!..**
ანუ
**„კაცობრიობის მტერნი"**

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.
ფასი 65 კაპ.

„დროების" ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 51, ф. Каминской.

**ამხანაგობა „სორაპანი"**
**მიიღება ხელის მოწერა**

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

**წიგნი მეორე**
**მოლიერის დრამატიული თხზულებანი.**

1. **კრიჟანგი,** კომ. 5 მოქმედებად. 2. **ჟორჟ-დანდენი,** კომ. 3 მოქმედებად. 3. **სკაპენის ცუღლუტობა,** კომ. 3 მოქმედებად. 4. **სიყვარული მხატვრობს,** კომ. 1 მოქმ. 5. **პრანჭია ქალები,** კომ. 1 მოქმედებად.

**თარგმანები:** აკაკისა, დიმიტრი ყიფიანისა, ელენე ლორთქიფანიძისა და ივ. მაჭავარიანისა.

წიგნი იქნება იმავე ზომისა, როგორც ვაჟა-ფშაველას „ცრემლებია"—200 გვ. ღირება ხელის მომწერთათვის 25 კაპ. ტფილისში მიიღება ხელის მოწერა: წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, კიკნაძის წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ, გოლოვინის პროსპ., „ცოდნის" წიგნ. მაღაზიაში ს. მერკვილაძესთან, „ალიონის" წიგნის მაღაზიაში, კიროჩნის ქ., სახალხო სახლის პირდაპირ. პროვინციაში კი ყველა ჟურნალ-გაზეთების გამყიდველ აგენტთან.

ვისაც სურს ფოსტით გამოიწეროს, მან უნდა გამოგზავნოს 25 კაპ. წიგნის ფასი და 10 კაპ. ფოსტის ხარჯი. შეიძლება ფულის მაგიერ მარკების გამოგზავნაც.

ადრესი: Тифлисъ, Товарищество „Сорапань" М. Гачечиладзе.

**ხელის მოწერა დაიწყება 28 თებერვლიდან და გათავდება 12 მარტს. შემდეგ კი ხელის მოწერა აღარ მიიღება. წიგნი გასასყიდად არ გამოვა.**

დაბეჭდილი წიგნი მოლიერისა დაურიგდება ხელის მომწერთ 1 აპრილს.

მზადდება დასაბეჭდად 1. **მოთხრობები**—ლალიონისა. 2. **მეფე ლირი**— შექსპირისა, თარგ. ილია ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბელისა. 3. **მოთხრობები**—ახალგაზრდა რუსს მწერლებისა. 4. **კომედიები**—ანტონოვისა. 5. **ახალი ჩანგი:** სცენები, ლექსები, პოემები, დრამატიული ნაწარმოებები, მხატრული სურათები და სხ. 6. **ორლეანელი ქალი**—შილერისა, 5 მოქ. ტრაგედია, თარგმანი ვაჟა ფშაველასი. 7. **მოთხრობები**—ოსკ. უაილდისა. 8. **მორჩილი**—რომანი ლ. არდაზიანისა. (5—4)

**60 მანეთიანი 30 მანეთად**







ქ. ქუთაისში
**ა. რ. თაბაგრის მაღაზიაში**
თეატრის გვერდით

მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მაშინები, ველოსიპედები, ჩულქის საქსოვი მანქანები, გრამოფონები და ყოველივე მათი მოწყობილება. ვღებულობთ გამოსვლისათანავე ახალ-ახალ ფირფიტებს და სხვ. საქონელს ვღებულობთ საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებიდან სათითაოდ შემოწმებულს, რისთვისაც ვიძლევით გარანტიას.



**ფასები შესამჩნევად დაკლებულია**
ხელის მაშინა სხვის 60 მანეთიან მაშინებთან შედარებით ჩვენთან 30 მანეთი ღირს.
ჩვენ მაღაზიას აგენტები ჰყავს ყველა ქალაქსა და დაბაში. წერილობით მიწერ-მოწერის პასუხს სწრაფად ვიძლევით.

შეიძლება საქონლის დაბარებაც ზედ-დადებულ ფასით. თუ გაგზავნილი საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ.



◀ **60 მანეთიანი 30 მანეთად** ▶

(100—6—22)